

წმინდა ნინოს ანტონ I კათალიკოსისეული საგალობელი¹

ქართულ ლიტურგიკულ კრებულებში, იადგარებსა და თვენებში უკვე გვხვდება წმინდა ნინოს საგალობლები. საერთოდ, იმისათვის, რომ ქართულ კრებულებში შეეტანათ ქართველი წმინდანის საგალობელი, საჭირო იყო მსოფლიო ანუ ბიზანტიური ეკლესიის მიერ ყოფილიყო ეს წმინდანი აღიარებული, მაგრამ, ვინაიდან წმინდა ნინო ქართველთა განმანათლებელი და ქართული ეკლესიის უპირველესი წმინდანია, ბუნებრივია მისი საგალობლების ამ კრებულებში შეტანა.

აღორძინების ხანის ანუ XVII-XVIII საუკუნეების ჰიმნოგრაფიის განმასხვავებელი ნიშანი კლასიკური პერიოდის ჰიმნოგრაფიისგან არის ეროვნული მოტივი. ამ პერიოდის ჰიმნოგრაფების შემოქმედებაში უდიდესი ადგილი სწორედ ქართველ წმინდანთა სადიდებელ საგალობლებს უკავია. ბუნებრივია, რომ ანტონ კათალიკოსი, სადღესასწაულოს ახალი, კანონიკური რედაქციის შემდგენელი და ჰიმნოგრაფი, გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ საკითხის მიმართ. მან სულ 24 ქართველი წმინდანის კანონი დაწერა (სადღესასწაულოს ავტორიზებული, ანტონის უშუალო ხელმძღვანელობით გადაწერილი, ნუსხა ინახება კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში - S1464) და ზოგ შემთხვევაში ახლად შეადგინა მთლიანი განგება. უმეტესწილად ანტონი იყენებდა უკვე არსებულ ჰიმნოგრაფიულ მასალას თავისი სადღესასწაულოს შედგენისას და შემდეგ ურთავდა ახალს. ასე მოიქცა წმინდა ნინოს საგალობლის შემთხვევაშიც. არსენ ბულმაისიძის მიერ დაწერილი საგალობელი შეიტანა სადღესასწაულოში, თუმცა თვითონაც დაწერა IV ხმაზე ახალი აკროსტიქიანი კანონი. კიდურწერილობა ტაეპობრივია. ანტონის შემოქმედებაში მხოლოდ ორი კანონია (წმ. ნინოს და ქეთევან წამებულის) გაწყობილი ასეთი კიდურწერილობით. ნინო განმანათლებლის აკროსტიქის ფრაზაა: “ტრფიალსა სძალსა სიძისა ძესთა ღმერთთას, სულის ნათლითა ბნელის შინათ მნათსა, მოციქულასა ქალწულსა სანატრელსა შესხმისა ძლითნი სიტყუანი მიერთმოდედ ანტონის მიერ უნდო ეპისკოპოსის და მგალობელის დაღათაუ არა შესაბამ”. აკროსტიქის ფრაზა კანონში ზუსტადაა დაცული, მხოლოდ ორგან არის მცირე უზუსტობა, ისიც ბგერათა მსგავსებით გამოწვეული: ერთგან ძ-ს ნაცვლად ზ წერია ტექსტში, მეორეგან უ-ს ნაცვლად ვ. ამ აკროსტიქის ფრაზაში არ

¹ კრებულში „წმინდა ნინო“, თბილისი, 2014.

არის ნახსენები წმინდანის სახელი, სამაგიეროდ ავტორზეა მითითება (ანტონი ასეთ აკროსტიქებსაც წერდა, მაგ.: არჩილისა და ლუარსაბის კანონის სტროფული კიდურწერილობა). ისევე როგორც ანტონისეული სხვა საგალობლების ღვთისმშობლისანი, წმინდა ნინოს კანონის ღვთისმშობლისანი ანტონის დაწერილია და მონაწილეობს კიდურწერილობაში.

კიდურწერილობიდან ვიგებთ, რომ რუსეთში დაწერა ანტონ პირველმა ეს საგალობელი, ვინაიდან მოხსენიებულია “უნდო ეპისკოპოსად” და არა კათალიკოსად. ანტონ I 1757-1762 წწ. რუსეთში ვლადიმირის მთავარეპისკოპოსად მოღვაწეობდა . ვინაიდან სადღესასწაულოს ავტორიზებული ნუსხა გადაიწერა 1759-1760წწ., უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ საგალობლის დაწერის თარიღი შემოიფარგლება 1757-1760 წლებით.

ქართველი წმინდანების ანტონისეული სხვა განგებებისგან განსხვავებით, წმინდა ნინოს ანტონმა მიუძღვნა მხოლოდ კანონი, აქებდითსა ზედა დასდებელი და ერთი დიდება. სხვა მცირე საგალობელი ანტონის კალამს არ ეკუთვნის. აქებდითსა ზედა დასდებელის ტექსტი მისსავე „წყობილსიტყვაობაშია“ მოთავსებული, თუმცა აქ ერთვის კიდევ ერთი აკროსტიქიანი სტროფი (აკროსტიქის ფრაზაა” ნინას ანტონი უგალობ”), რომელიც არ გვხვდება სადღესასწაულოში.

ჰიმნოგრაფი წმინდა ნინოს აქებს, როგორც არმაზის კერპის შემმუსვრელს:

არმაზ დაეცა, ვითარცა ბილ და დაგონ,

ლიბრთა ქურუმთა თანა

წინა განწყობით შენით

უმუჭრება განცხადნა მათი

ლომებრ მისტაცენ რა მათ მიმძლავრებულნი მათნი

საბელ ძოწეულ ბაგენი შენნი

აღმზიდულ ქუჭ შთაყრილთა

სისხლითა მწიკულევანთა

არმაზის ზომონისათა,

ნინა ღმრთისა მიმართ გამოსჩნდა სანატრელი. (425 r).

წმინდა ნინო სათნოებ

ნანიჟნი იგი ბილწნი

იმსხუჭრპლებოდეს რა

სისხლნი ჩჩვლთანნი

იხილენ რა არმაზისა ბომონსა

ტკივნეულ იყავ

ყოვლითურთ უღთოთათვს,

ვითარცა მოსრული მათოვს მქსნელად (425v).

მხატვრული თვალსაზრისით წმინდა ნინოს საგალობელი დიდად არ განსხვავდება ანტონის მიერ დაწერილი სხვა საგალობლებისგან და ნამდვილად არ მიეკუთვნება ჰიმნოგრაფიის შედევრებს, კლასიკური პერიოდის ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედებისგან განსხვავებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაწყობილია ტაეპობრივი აკროსტიქით, რაც კიდევ უფრო ზღუდავს ანტონს და უფრო ხელოვნურს ხდის მის ენას. თუმცა გვხვდება მზა მხატვრული სახეები, ბიბლიური პარალელების ნიმუშები, რელიგიურ-დოგმატური ფრაზეოლოგია, რაც საერთოდ დამახასიათებელია ჰიმნოგრაფიისთვის.

ანტონ კათალიკოსი ძველ ჰიმნოგრაფთა, განსაკუთრებით ნიკოლოზ გულაბერისძისა და არსენ ბულმაისიმისძის, სახისმეტყველებითი ტრადიციებისა და თეოლოგიური ნააზრევის გამგრძელებელია და ახსენებს ჯვარსა და უფლის კვართს (გვკურნა გუნიშა ჯუარითა, ნები მტკიცე-ჰყო სთუად ჩუწნდა კუართი ნათულის((427v); სვეტიცხოველზე მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ ლიბანის ხსენება საგალობელში - ლიბანით ჩუწნდა მოსრულო სუნნელ-ყოფად(424r). ეს ადგილი შევუდაროთ “წმინდა ნინოს ცხოვრების” ე.წ. შატბერდულ რედაქციას: “მახლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა”.

ანტონ კათალიკოსის თქმით, წმინდა ნინო განმანათლებელია: “ახლისა საიდუმლოსა ცნობა ნინას მიერ მივიღეთ”. იგია ბრძენი, იესოს სძალი და მხევალი, მან იქადაგა ქრისტე, იტვირთა ჯვარი და ზადენის კერპის მსხვერპლთა სისხლი...:

ნინა, ქრისტეს ქადაგო,

ტვრთვთა ჯუარისათა
ორთა გვრგვნთა თავდგმულეზით.
ნამვანი ცრემლთა შენთა
იქმნა წარმლუნელ მწვრეთა
სისხლთა ზადენის მსხუწრპლთა
მთათ გამო რა იხილვდი (426r).

წმინდა ნინომ
“იორდანისა წარმოადინენ წყალნი
სისხლთა განწმედად არმაზის ბაგინისა
კრულნი კედართა სატანასთა ქართუწლნი
ორღანომან შენ სულისამან, ქალწულო,
პატიჟთა იკსნენ სტვნვთა სულისათა
ოდეს ვმა უყუწ ქნარმან, ყოვღად წმიდამან
სახიერისა მიყუანად მწყემსის არვედ” (426v).

წმიდა ნინო მოციქულთა თანასწორია:
ლიმენად ღელვსა შინათა,
ირისედ წვმის წარმვდეღად, მოციქულო. . . (424v).
იმოციქულეზის ლომთა შორის ტარიგი
სიმვნით პავლესებრ, პეტრეს და იოანეს(427r).

ჯერ კიდევ XIII საუკუნეში მიაგებდნენ წმინდა ნინოს ასეთ პატივს. არსენ ბულმაისიმისძემ თავის საგალობელში წმინდა ნინო არათუ მოციქულებს გაუთანაბრა, არამედ მახარებლებსაც დაუყენა გვერდით. ანტონისთვისაც იგია “მოციქული”- ში, მოციქულო, ნუ დასცხრები შვლთათვს .. (422r); არიან თუალნი შენნი ტრედ, მოციქულო” (424v); “..შეგიმკობდა მოციქულებრსა.. (425v);

ანტონი ხაზს უსვამს იმას, რომ მართალია, ქალია წმინდა ნინო, მაგრამ პავლე მოციქულის გვერდით დგას თავისი მისიონერული მოღვაწეობით:

წესი მცნებისა ადინა ენით თვსით

დაღათუ მდედრმან, გარნა პავლემან მაღლით (427v).

იგია ღამის დღედ გადამქცევი “ღამის მაღლე”, მოსე წინასწარმეტყველისდაგვარად “წერილნი ათთა მცნებათა ზეგარდამო მოცემით, შენ მრთელ ცნობითა ესეცა მიიმაღლე” (427v).

თემანით ღმერთი მოვიდა შენგან, სძალო,

აღმოსავალით შენ იაკობისგანით,

ბნელისა მსხდომთა და აჩრდილთა სიკუდილის

ნათელი ჩუწნდა წყალობით განათლებად

ესრეთ გურწამ, სძალო, ღუთისმშობლად აღმსარეთა(424r).

ბიბლიაში გეოგრაფიულ მხარეებს აქვთ როგორც საკუთრივ გეოგრაფიული მითითების დანიშნულება, ისე საკრალურ-ალეგორიული მნიშვნელობა. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არის ნახმარი საგალობელში თემანი (საერთოდ, თემანი ედომის ნაწილია. მისი მკვიდრნი ცნობილნი იყვნენ სიბრძნით), რომელიც სამხრეთს ნიშნავს და აღმოსავლეთთან ერთადაა ნახსენები და მასავით ღვთაებრივი სიკეთისა და მაღლის მხარეა (შდრ. უფლის ხელმა “დამაბრუნა ტაძრის შესასვლელთან და, აჰა, წყალი მიედინება ტაძრის ზღურბლის ქვეშიდან აღმოსავლეთისკენ, რადგან აღმოსავლეთისკენ იყო მოქცეული ტაძარი, წყალი გამოდის ქვეშიდან, ტაძრის მარჯვენა მხრიდან, სამსხვერპლოს სამხრეთით (ეზეკ. 47,1)). ამ მაღლმოსილი მხარიდან მოდის ღმერთი ისევე, როგორც აღმოსავლეთიდან.

სლუა შენი, ნინა, შუწნჳყავ სულამიტელებრ,

ძალის შემმოსმან მამრებრ (423r).

ესებონსა შინა, ვითარცა ტბისა

სულამიტელეზრ

ხლდომასა შეგიმკობდა.(425v)

”ქება ქებათაში” ნახსენები სულამიტა (მშვიდობიანი) მშვენიერი ახალგაზრდა ქალის განზოგადებულ სახედ ე.წ. მშვენიერების ეტალონად ანტონთან სხვა საგალობლებშიც გვხვდება (მაგ., დავით აღმაშენებლის საგალობელში – სულამიტელეზრ განაშვენენ სლუანი (839r)) . “ქება ქებათას”, როგორც ბიბლიის ყველაზე პოეტური წიგნის, დამოწმება საგალობელს ამშვენებს და პოეტურობას ანიჭებს.

ანტონი ზოგჯერ ჩამოთვლის მხოლოდ როგორც ძველი აღთქმის, ისე ახალი აღთქმის პერსონაჟებს. სახეთა პარალელიზმი ჰიმნოგრაფს სჭირდება, რომ წარმოაჩინოს წმინდა ნინოს თვისებები:

ლმობილნი გვკსნენ ძნელ განცდათაგან, ღირსო,

იუდითისებრ ძლევს მოყუარებითა..... . . . (424r).

ნათლის განჯუჭბა მეფისა მის,

აღმართ მსლუჭლ კიბედ მოისიბრძნე, წმიდაო,

თანად პატიჟით და შეწყალებით

მოსესებრ ღმერთმან ურწმუნოთა

ნინა კუჭრთხითა ნიშითა ჯუარისათა (424v).

ასულთა შორის იეროსალიმისთა

მოიხედნა ნინა ზესთა ღმერთთა სიბრძნესა,

ქორწინებულსა ჟამსა სიძობისასა

ევას ძლითითა ნივთთ ნათხზითა გვრგვნით

მხედუჭლი ერჩდა საიდუმლოს ხედუასა (427v).

“წმინდა ნინოს ცხოვრების” ყველა რედაქცია და არსენ ბულმაისიმისძისეული საგალობელი გვამცობს, რომ ნინო თავადაა ტყვე და სხვა ტყვეთა მხსნელი ამავდროულად. ანტონი საგალობელში წერს: “იქმენ ტყუჭ ეგე, დედაო, ჩუჭნ ტყუჭთათვჳს” (424v); ნებსით ტყუჭ იქმნა ქრისტესთჳს (422r). იგია მოციქულთა სწორი, მახარებელი, განმანათლებელი და ტყვე. რ. სირაძის აზრით, ნინოს ეპითეტები- ტყვე და დედოფალი – ანტონიმური სიმბოლოების შეწყვილებაა და შესაძლოა, ქრისტიანულ იდეალს გამოხატავდეს სწორედ “ტყვე”. როგორც ჩანს, ქრისტოლოგიური თვალსაზრისით, ნინო სულიერი მეუფე “მონაა”. ქრისტეც ხომ ჯვარს ეცვა, როგორც მონა. მაშასადამე, ხალხის სულიერი მხსნელი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი მონა.

საინტერესოა, რომ წმინდა ნინოს ანტონისეულ საგალობელში, ისევე, როგორც არსენ ბულმაისიმისძისეულ ჰიმნში, “ისტორიული დროითაა შემოსაზღვრული ქართველთა ნაკლოვანებანი, რაც ისტორიულ კატეგორიად გაიაზრება” და გვახსენებს, რომ ქართველები წმინდა ნინოს მოსვლამდე სატანის ტყვეობაში იყვნენ :

კრულნი კედართა სატანასთა ქართუჭლნი

ორღანომან შენ სულისამან, ქალწულო,

პატიჟთა იქსნენ სტჳნჳთა სულისათა(426v).

ჩუენ სამარესა შინა საუკუნოდათა ძილითა მძინარენი განგუაღჳძნა. ნებსით ტყუჭ იქმნა ქრისტესთჳს და ჩუჭნ ტყუჭნი სატანასნი გამოგჳჳსნნა, ვინაცა მისა მიმართ ვჳმობდეთ. (422r)

წმინდა ნინო შედარებულია მტრედთან (უმანკო ტრედო, სიძისა საყუარელო(423v), არიან თუალნი შენნი ტრედ (424v)-აქ უფრო შორს მიდის ჰიმნოგრაფი და თვალებს ადარებს მტრედებს, თვალებს ანუ სულის სარკეს), რაც საერთოდ ბიბლიური სახისმეტყველებით, უმანკოების, მორჩილებისა და გულწრფელობის სიმბოლოა. მტრედი ნათლობის, სიცოცხლის განახლების სიმბოლოა, ხოლო წმინდა ნინო ქართველი ერის სულიერი განმანათლებელი და განმაახლებელი. ასეა არსენ ბულმაისიმისძის საგალობელშიც .

ლომთანაა შედარებული წმინდა ნინო - “უფროს აღვიძე ბეჳდისადა ლომებრ, რომლითა იქმენ მდედრი, სიმჳნით და სიბრძნით მდიდარ “(423r). ლომებრ მისტაცენ რა მათ მიმძლავრებულნი მათნი“(425r). ვინაიდან ლომი ქრისტეს სიძლიერის

სიმბოლოა, ნინო მოციქულის ლომთან შედარება მის მაცხოვრის ძალმოსილებით შემკობას მოასწავებს.

მხატვრული ხერხების გამოყენების თვალსაზრისითაც ღარიბია საგალობლის ტექსტი. ანტონი იყენებს ტროპის სახეებს: 1) შედარებას – “უფროს ალვიძე ბეჭდისადა ლომებრ” (423r), “იუდითისებრ ძლევს მოყუარებითა” (424r); 2) მეტაფორას – “ძალეზად მოიგნა ნაყოფნი სულისანი და იოჯრა ჳმა ბრწყინულე განათლებად ჩუჭნდა, მოილო ზეთი წმიდისა სარწმუნოებისა, ყოვლად მარტივი და აღანთო ალითა სიძისა ტრფიალებისათა” (423r), “ნამვანი ცრემლთა შენთა იქმნა წარმღუნელ მწვრეთა” (426r); “ლელუ და ვენაჯ და ყუაჯლ ჳყუჭნ რა ეკალნი” (423r); ეპითეტს – წმინდა ნინოა “ქნარი ყოვლად წმინდა”, “ორღანო სულისა”, “სძალი და მოწაფე ქრისტესი”, “შრომან, ბალასან და ვარდ”, “ებანი სულისა წმიდისა”, “ბრძენი”, “სანატრელი”.

გვხვდება ალიტერაციის ორიოდე ნიმუშიც, რომლებიც თითქოს გარკვეულ ევფონიურ სინატიფეს აძლევს ტექსტს. მაგ., ს თანხმოვნის ალიტერაციაა ”სიყუარულითა დაწყლულსა სძალსა თჯსსა სიძე.... . . “ (425v), “სამოსი სასძლო შეგემოსა რა.” (426v).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ წმინდა ნინოს ანტონისეული საგალობელი თვით ამავე ჰიმნოგრაფის სხვა საგალობლებთან შედარებითაც კი ღარიბია მხატვრული თვალსაზრისით და ამის ძირითადი მიზეზი ტაეპობრივი აკროსტიქით საგალობლის გაწყობის სირთულეში უნდა ვეძებოთ.

ამრიგად, მართალია, ანტონ I კათალიკოსმა თავის სადღესასწაულოში წმინდა ნინოს არსენ ბულმაისიმისძისეული კანონი და ამავე წმინდანისადმი მიძღვნილი რამდენიმე მცირე საგალობელი შეიტანა, თვითონაც უძღვნა მოციქულთა სწორს კანონი, ხოლო მცირე ფორმის საგალობელთაგან - მხოლოდ დიდება და აქებდითსა ზედა დასდებელი.